პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება
Political Science

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი
Master of Arts in Political Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მიზანია პრაქტიკოს-ანალიტიკოსების მომზადება. სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს მაგისტრს პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდებში, თეორიებსა და სუბ-დისციპლინებში, რათა ამ გზით მოამზადოს ისინი, ერთი მხრივ, პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხრივ კი, სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

სამაგისტრო დონეზე სწავლა საბაკალავრო დონის სწავლებისაგან განსხვავებით სტუდენტისაგან მოითხოვს გაცილებით უფრო ინტენსიურ მუშაობასა და ვარჯიშს. აღნიშნული სამაგისტრო პროგრამა სტუდენტს აწვდის და უვითარებს გაცილებით ფართო და ამავე დროს სპეციფიკურ ცოდნას პოლიტიკური მეცნიერების ცალკეულ სუბ-დისციპლინებში. სტუდენტებს უვითარდებათ მაღალი დონის კვლევითი უნარ-ჩვევები, სწავლობენ, პრობლემების თეორიულ და პრაქტიკულ დონეზე გაანალიზებას.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესში: სტუდენტები იღებენ სათანადო თეორიულ მომზადებას პოლიტიკის მეცნიერებაში; ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას; კარგად იცნობენ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას; იცნობენ შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს; პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს პოლიტიკის ფენომენის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები; პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს პოლიტიკაში პროფესიული კარიერის შექმნისათვის საჭირო ცოდნითა და ხერხებით.

ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამა იძლევა ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო საშუალებებს და ქმნის კვლევის წარმოების თვალსაზრისით პოლიტიკის მეცნიერების სფეროში ახალი ცოდნისა და მტკიცებულებების წარმოების შესაძლებლობებს დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა და სხვა ანალიტიკური პროდუქციის მეშვეობით, რომელიც იწარმოება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კოორდინირებული მუშაობის შედეგად (სტუდენტები ჩართული იქნებიან კონკრეტულ კვლევით პროექტებში).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი სოციალურ, ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სამართალში ან ბიზნეს ადმინისტრირებაში
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა პოლიტიკის მეცნიერებაში *(საგამოცდო საკითხები ხელმისაწვდომია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე)*

სწავლის შედეგი:

ცოდნა-გაცნობიერება	აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა როგორც ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების, ისე პოლიტიკის მეცნიერების მის მიერ არჩეული კონცენტრაციის (პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი; შედარებითი პოლიტიკა: რუსეთი და დსთ-ს ქვეყნები; კავკასია შედარებით პერსპექტივაში) ფარგლებში არსებული თეორიების, უახლესი მიგნებების, სამეცნიერო დისკუსიების თემატიკის და დისკუსიებში ჩართულ მხარეთა არგუმენტების კვლევების შესახებ, აქვს კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სიღრმისეული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	პოლიტიკისა და არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში მიღებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე შეუძლია საკვლევი საკითხის მკაფიო იდენტიფიცირება, კონტექსტუალიზაცია, კვლევის მეთოდისა და თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და დასაბუთება, მასალის მოძიება, სისტემატიზაცია, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით. შეუძლია პოლიტიკის პრობლემატიკაზე კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. აქვს პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის გამოყენების უნარი, რათა ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, ხედვა პროფესიული, სოციალური და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით. შეუძლია თავისი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო არგუმენტაცია შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან. პროფესიულ დონეზე ფლობს პოლიტიკის მეცნიერების რაოდენობრივი, თვისებრივი და გამოყენებითი კვლევის ყველა ძირითად მეთოდს და აქვს უნარი, ნებისმიერი კონკრეტული პოლიტიკური პრობლემის ემპირიულად შესწავლის მიზნით, შეარჩიოს მოცემული კვლევისათვის რელევანტური კვლევის მეთოდი. მაგისტრს გააჩნია მიღებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეუძლია თავი გაართვას სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც მისი ცოდნისა და მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური

	პასუხისმგებლობებიც აისახება; ამ ცოდნას იგი იყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. აქვს პოლიტიკის, ასევე ზოგადად სოციალურ მეცნიერებათა სფეროში ელექტრონული საძიებო სისტემებისა და ბაზების გამოყენების უნარი. აქვს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხედვა, რომელსაც იყენებს პოლიტიკის პრობლემების გადაწყვეტისას.
დასკვნის უნარი	აქვს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის სინთეზირება და მათ საფუძველზე დასკვნების შემოთავაზება. საკითხების განხილვა ინტერდისციპლინარული პერსპექტივით, მკაფიოდ არგუმენტირებული და მონაცემებზე დაყრდნობილი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს.
კომუნიკაციის უნარი	იცნობს და თავისუფლად იყენებს სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ აპრობირებულ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკურ პროგრამებს (SPSS, STATA); აქვს კვლევის შედეგების წერითი და ვერბალური პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. არის ინგლისური ენის მცოდნე და აქვს პოლიტიკის ცნებით-კატეგორიული აპარატის ინგლისურ ენაზე მფლობელი. ცოდნის გამდიდრება, სემინარული მუშაობა, სემესტრული ნაშრომების პრეზენტაციის პრაქტიკა სტუდენტს უყალიბებს საკუთარი ცოდნისა და გაწეული მუშაობის შედეგების დასაბუთებული წარმოჩენის, სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.
სწავლის უნარი	აქვს უნარი თავად დაგეგმოს და განახორციელოს სიცოცხლის მანძილზე სწავლა როგორც პოლიტიკის, ისე მის მიერ არჩეულ სფეროში, ადეკვატურად აფასებს საკუთარ სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი. აქვს უნარი მომავალში დამოუკიდებლად ან მინიმალური ხელმძღვანელობის ქვეშ განახორციელოს კვლევითი პროცესი, ფლობს კვლევითი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელ ადექვატურ ინდივიდუალურ რესურსსა და კომპეტენციას და აქვს მათი გაუმჯობესების უნარი. აქვს პოლიტიკური მეცნიერების სფეროში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურის ათვისების, სწავლისა და კვლევის პროცესში მისი მუდმივი გამოყენებისათვის მზაობა.
ღირებულებები	მაგისტრს აქვს პოლიტიკის სფეროს პრაქტიკული გაუმჯობესების ღირებულებითი აღქმა და შეუძლია ჩაერთოს დემოკრატიული მართვის განხორციელებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში პრაქტიკული თუ კვლევითი საქმიანობის საფუძველზე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური/წერითი;
2. წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა;
3. დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPP მასალების მეშვეობით);
4. ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
5. დისკუსია/დებატები;
6. ჯგუფური მუშაობა;
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
8. შემთხვევის ანალიზი (case-study);
9. გონებრივი იერიში (Brain storming);
10. როლური და სიტუაციური თამაშები;

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა: იხ.დანართი: პროგრამის სტრუქტურა

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა შედგება:

1. პროგრამის სავალდებულო კურსებისგან;
2. პროგრამის არჩევითი კურსებისგან;
3. სასპეციალიზაციო კონცენტრაციებისაგან, რომლის ფარგლებშიც შემოთავაზებულია 5 არჩევითი კონცენტრაცია:
   - პოლიტიკური თეორია და პოლიტიკური იდეოლოგიები;

- ||) პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი;
-) სახელმწიფო მართვა;
-) შედარებითი პოლიტიკა: რუსეთი და პოსტსაჭოთა ქვეყნები;
-) შედარებითი პოლიტიკა: კავკასია შედარებით პერსპექტივაში.
-) ადგილობრივი თვითმმართველობა

სტუდენტს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის დროს შეუძლია აირჩიოს რომელიმე სასპეციალიზაციო კონცენტრაცია, ან აირჩიოს საგნები სხვადასხვა სასპეციალიზაციო კონცენტრაციებიდან.
პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკასა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კრედიტები:
პოლტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

პროგრამის სავალდებულო კურსები	30 კრედიტი
პროგრამის არჩევითი კურსები	10 კრედიტი
არჩევითი სასპეციალიზაციო კონცენტრაციები	40 კრედიტი
პრაქტიკა	5 კრედიტი
თავისუფალი კურსები	5 კრედიტი
სამაგისტრო ნაშრომი	30 კრედიტი
სულ	120 კრედიტი

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას და ითვალისწინებს: 30 კრედიტის მოცულობის პროგრამული სავალდებულო კურსების გავლას; პროგრამის არჩევითი კურსების, სასპეციალიზაციო კონცენტრაციების და პრაქტიკის საფუძველზე 55 კრედიტის დაგროვებას; სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) დაცვას და 5 კრედიტი თავისუფალი კრედიტი.

დასაქმების სფეროები: სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასქმების პოტენციური სფერო შეიძლება იყოს:
-) კვლევითი ორგანიზაციები
-) საჯარო დაწესებულებები
-) არასამთავრობო სექტორი
-) საერთაშორისო ორგანიზაციები
-) კერძო სექტორი
-) მასმედია

დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია 20 სტუდენტის მომსახურება.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

გვარი, სახელი,		**აკადემიური თანამდებობა**	**ხარისხი**
თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი			
1	მაცაბერიძე მალხაზ	პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
2	კუხიანიძე ალექსანდრე	პროფესორი	ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
3	დუნდუა სალომე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
4	მაჭარაშვილი ნანა	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
5	აბაშიძე ზვიად	ასოცირებული-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
6	დოლიძე ვალერიან	ასისტენტ-პროფესორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
7	წურწუმია ალექსანდრე	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
8	ტუკვაძე ავთანდილი	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
9	ქარაია თამარ	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
მოწვეული პერსონალი			
1	ნინო ჩიქოვანი	პროფესორი *თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
2	მაცაბერიძე დავით	ასისტენტ-პროფესორი *თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება*	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
3	ბერძენიშვილი ლიკა	პედაგოგი *თსუ–ის ენების ცენტრი*	-------
4	თეთრაძე ლიკა	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
5	დარბაიძე ეკატერინე	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
6	ნაფეტვარიძე ვლადიმერ	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
7	ჭუმბურიძე ირინე	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
8	ქევხიშვილი მარიანა	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

9	მელიქიძე გიორგი	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
10	ცხოვრებაძე თინა	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
11	ხუციშვილი ლევან	მოწვეული პედაგოგი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
მოწვეული პროფესორები			
1	პალ ტამაში	პროფესორი (Professor of Communication) *სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია; ბუდაპეშტი*	სიოციოლოგიის დოქტორი
2	ლაშა ჭანტურიძე	ასოცირებული მკვლევარი (Research Associate)	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
უნივერსიტეტის რესურს-ცენტრები;
თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;
ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;
უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;
ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის მიერ გადმოცემული 1500 დასახელების წიგნი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

დეპარტამენტი: პოლიტიკის მეცნიერება

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: მალხაზ მაცაბერიძე, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 63

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი):
დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018; დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013 სასწავლო წელი

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 30 კრედიტი (ECTS)*										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ დასკვნითი	მუალედური და			შემოდგომა	გაზაფხული	
1	პოლიტიკის მეცნიერება: ახალი მიმართულებები და პერსპექტივები	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე სალომე დუნდუა ზვიად აბაშიძე გიორგი მელიქიძე
2	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე		X	მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე ლიკა თეთრაძე
3	რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	X	X	გიორგი მელიქიძე
4	თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X	X	თამარ ქარაია
5	სამაგისტრო კვლევის დიზაინი	5	30	15	7	73	წინაპირობის გარეშე	X		გიორგი მელიქიძე თამარ ქარაია
6	პოლიტოლოგის პროფესიული ეთიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე

საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი **კურსები/მოდულები - 55 კრედიტი (ECTS) *- (მათ შორის პრაქტიკა - 5 კრედიტი)**										
1. სასპეციალიზაციო კონცენტრაცია: პოლიტიკური თეორია და პოლიტიკური იდეოლოგიები										
1	პოლიტიკური თეორია: წარსული და თანამედროვეობა	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე
2	ნაციონალიზმი და დემოკრატია (ინგლისურ ენაზე)	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	X		სტივენ ჯონსი დავით მაცაბერიძე
3	საზოგადოება, სახელმწიფო და იდეოლოგიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		სალომე დუნდუა
4	უსაფრთხოების თანამედროვე კვლევები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		X	ალექსანდრე კუხიანიძე
5	პოლიტიკური ელიტების და ლიდერობის თეორიები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X	X	ავთანდილ ტუკვაძე
6	პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: ნაციონალიზმი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X	X	მალხაზ მაცაბერიძე
7	პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: სოციალ-დემოკრატია	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე	X	X	მალხაზ მაცაბერიძე
8	საქართველოს საგარეო პოლიტიკის გამოწვევები	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე		X	კორნელი კაკაჩია ლევან კახიშვილი
9	პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში: ანარქიზმი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე
10	ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	X		კონსტანტინე ერისთავი
2. სასპეციალიზაციო კონცენტრაცია: პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი										
1	პოლიტიკური კონსულტირება	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე

2	პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე ლიკა თეთრაძე
3	საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე ირინე ჭუმბურიძე
4	ლობიზმი და ინტერესთა ჯგუფები	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე ვალერიან დოლიძე მარიანა ქევხიშვილი
5	პოლიტიკური პარტიები და პარტიული სისტემები	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე ლიკა თეთრაძე
6	სტრატეგიული აზროვნება	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე	X	X	ნიკო მელიქაძე
7	ლიდერი და ორგანიზაცია	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე		X	გიორგი მელიქიძე
3. სასპეციალიზაციო კონცენტრაცია: სახელმწიფო მართვა										
1	საჯარო პოლიტიკის ანალიზი *(სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		X	ნანა მაჭარაშვილი თორნიკე ნოზაძე
2	საჯარო მართვა	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X		ნანა მაჭარაშვილი გიორგი მელიქიძე
3	ელექტრონული მმართველობა: თეორია და პრაქტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		X	ვლადიმერ ნაფეტვარიძე
4	სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკა	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X		გიორგი მელიქიძე
5	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		X	ალექსანდრე კუხიანიძე დავით მაცაბერიძე
6	სახელმწიფო მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე		X	ზვიად აბაშიძე ალექსანდრე სვანიშვილი
4. სასპეციალიზაციო კონცენტრაცია: შედარებითი პოლიტიკა: რუსეთი და პოსტსაბჭოთა სივრცე										
1	პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	5	15	15	7	88	წინაპირობის გარეშე		X	ალექსანდრე კუხიანიძე მალხაზ მაცაბერიძე
2	რუსეთის პოლიტიკა: პოსტსაბჭოთა პერიოდი	5	30	15	7	73	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე დავით მაცაბერიძე

3	მეხსიერების პოლიტიკა გარდამავალ საზოგადოებაში	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X		თამარ ქარაია
4	რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა	5	30	15	8	72	წინაპირობის გარეშე		X	მალხაზ მაცაბერიძე
5	პოლიცია და დემოკრატიის მშენებლობა. შედარებითი ანალიზი	5	30	15	7	73	წინაპირობის გარეშე		X	მალხაზ მაცაბერიძე მიხეილ სადაღაშვილი
5. სასპეციალიზაციო კონცენტრაცია: კავკასია შედარებით პერსპექტივაში										
1	კულტურა და რელიგია კავკასიაში *(ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან)*	10	30	60	8	152	წინაპირობის გარეშე	X		ნინო ჩიქოვანი
2	კონფლიქტები კავკასიასა და ბალკანეთში	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	X		ჯაბა ურუტაძე ალექსანდრე კუხიანიძე დავით მაცაბერიძე
3	თურქეთის პოლიტიკა	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	X		მაია მანჩხაშვილი
4	კავკასია გლობალურ პერსპექტივაში	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე		X	მალხაზ მაცაბერიძე თინა ცხოვრებაძე
5	ტერორიზმი და კონტრ-ტერორიზმი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		X	ალექსანდრე კუხიანიძე
6. სასპეციალიზაციო კონცენტრაცია: ადგილობრივი თვითმმართველობა										
1	ადგილობრივი დემოკრატია და ადგილობრივი პოლიტიკა	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე		X	მალხაზ მაცაბერიძე ლევან ხუციშვილი გიორგი მელიქიძე
2	ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე ეკატერინე დარბაიძე
3	ქალაქის პოლიტიკა	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	X		მალხაზ მაცაბერიძე ლევან ხუციშვილი
7. სპეციალიზებული ინგლისური ენა										
1	სპეციალიზებული ინგლისური ენა 1	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	X		ლიკა ბერძენიშვილი

2	სპეციალიზებული ინგლისური ენა 2	5	30	30	5	60	სპეციალიზებული ინგლისური ენა 1		X	ლიკა ბერძენიშვილი
8. პრაქტიკა - 5 კრედიტი. პრაქტიკა შესაბამის სამთავრობო ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, არჩევითი										
1	პრაქტიკა	5		60				X	X	
სამაგისტრო ნაშრომი -30 კრედიტი										
1	სამაგისტრო ნაშრომი	30						X	X	
თავისუფალი კურსები/მოდულები - 5 კრედიტი (ECTS) არჩევითი										

*ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი